ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 19

დ. ხულო

13 ივნისი 2015 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ ტაბახმელის საჯარო სკოლა- (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ გობაძის სახით სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ოთარ კახაძის (შემდგომში მიმწოდებელი), წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად შემსრულებლის მიერ სატრანსპორტო მომსახურების გაწევა. (თუნუქის სახურავის შემოტანა)

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 125 (ასოცდახუთი ლარი) ლარს სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით. (CPV კოდი: 60100000; სატრანსპორტო მომსახურების გაწევა)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი ოთარ გობაძე

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების გაწევის ადგილია: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ტაბახმელა

5.2. მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 25 ივნისიდან 2015 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.